

კვლევა

სათაური

„თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების გამოკვეთა და გადაჭრის გზების შემუშავება ბიოლოგიაში.“

სკოლა: ქართულ-ამერიკული სკოლა

პედაგოგი: ანა ზურაშვილი

სარჩევი:

1. შესავალი(საკვლევი საკითხის აქტუალობა)	2
2. მიზანი.....	2
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....	3
4. ძირითადი საკვლევი კითხვები.....	4
5. კვლევის მეთოდები-მონაცემთა ანალიზი.....	4
6. შედეგების სტატისტიკა.....	7
7. გამოკვეთილი პრობლემა.....	8
8. გამოსავალი: /ინტერვენციები.....	8
9. ინტერვენციების შედეგების შეფასება.....	9
10. რეკომენდაციები:	10
11. დასკვნა.....	10
12. რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე.....	11
13. ბიბლიოგრაფია.....	13
14. დანართი.....	14

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართულ-ამერიკულ სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევის საჭიროება გამოიწვია მე-9 კლასში პირველი სემესტრის ბოლოს ბიოლოგიაში კლასის დაბალმა საშუალო მაჩვენებელმა. კვლევის შედეგების განსაზღვრა და მასზე დაყრდნობით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების გზების ჩამოყალიბება უზრუნველყოფს დონის ამაღლებას. კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია (ფოკუს ჯგუფებთან მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, დისკუსია.) შესაძლოა იმავე პრობლემის არსებობის შემთხვევაში სხვა საგნის პედაგოგებმაც გამოიყენონ.

მიზანი:

დავადგინო რამდენად სრულფასოვნადაა ათვისებული ბიოლოგიაში 1 სემესტრის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები 9¹ კლასის თითოეული მოსწავლისათვის.

ამისთვის მე-9¹ კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ 2017-2018 სასწავლო წლის 1 სემესტრში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მისაღწევი შედეგები (ინდიკატორების სახით) მოსწავლეებმა გააკეთეს თვითშეფასება (თითოეულ ინდიკატორზე გააკეთეს კომენტარი, რამდენად დაძლევადი იყო ის მათთვის) მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები განვიხილე და გავაანალიზე სათითაოდ. თვითშეფასების თვალსაჩინო ანალიზისათვის თითოეული მოსწავლის შეფასება გამოვყავი იმ ინდიკატორების ჩარჩოში, რომელიც ძნელად დაძლევადი ან დაუძლეველი აღმოჩნდა მოსწავლისათვის. გამოიკვეთა ორი ჯგუფი, რომელთაგანაც ჩავატარე მუშაობა ფოკუს ჯგუფებში. გამოვიკვლიე მიზეზები თითოეულ ჯგუფში და დავსახე გამოსწორების გზები. წლის ბოლოსთვის კვლავ ჩავატარე მეორადი გამოკითხვა და შევადარე პირველად გამოკითხვას. გამოირკვა, რომ პირველ სემესტრში დაუძლეველი საკითხები სრულად იყო დაძლეული მოსწავლეთა მიერ, თუმცა აქ გამოიკვეთა უკვე ახალი დაუძლეველი ინდიკატორები, რომლებიც უკვე შემდეგი სასწავლო წლის კვლევის საკითხს შეადგენს. აღნიშნული კვლევა გვეხმარება სამომავლო რეკომენდაციების შემუშავებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა.

დიუის აზრით სკოლა უნდა იყოს ადგილი , სადაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართული თანამშრომლობის გზით ერთობლივი მიზნების , როგორც საკუთარი , ისე სხვების ინტერესების განხორციელებაში . დიუის სწამდა , რომ პედაგოგიური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული , შეგნებული , პასუხისმგებელი , დემოკრატიული მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს .

დიუი მთავარი სლოგანია "სწავლა კეთებით". დიუის სქემის მიხედვით, სწავლის ეტაპებია პრობლემის აღმოჩენა, პრობლემის განსაზღვრა, პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება, ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილებების საფუძველზე და საუკეთესო გზის გამოცდა.

დიუის იდეები დღესაც აქტუალურია :

- 1.სწავლა გამოცდილებით
- 2.ინტეგრირებული სასწავლო გეგმა-ფოკუსირებული კონკრეტულ თემებზე
- 3.ჯგუფური მუშაობა და სოციალური განვითარებაზე ზრუნვა
- 4.სწავლა გაგებისთვის და არა ზეპირობა
- 5.კრიტიკული აზროვნების განვითარება
- 6.რესურსებისათვის და არა სახელმძღვანელოსთვის უპირატესობის მინიჭება
- 7.მასწავლებელი -მრჩეველი და ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს აღმოჩენით/ გამოკვლევით სწავლაში

შვეიცარიელი ფსიქოლოგი **ჟან პიაჟე** და რუსი მეცნიერი **ლევ ვიგოტსკი**, რომლებიც კონსტრუქტივისტული თეორიის ფუძემდებლებად მოაზრებიან, მიიჩნევენ, რომ მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას გონებაში- მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება. ამდენად, კონსტრუქტივისტული აზროვნების განვითარება მოზარდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.გულისხმობს მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში ეს არის კონსტრუქტივიზმი რომლის მთავარი არგუმენტია ის რომ ცოდნა მოსწავლეს მზა სახით კი არ ეძლევა არამედ მისი მონაწილეობით იქმნება მოსწავლე გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედებით თვითონ ქმნის, გარკვეულ წესთა ერთობლიობას რომლის მეშვეობით ხორციელდება შემდგომი ურთიერთქმედება.

ძირითადი საკვლევითი კითხვები:

1. რატომ იყო 2017-2018 სასწავლო წლის 1 სემესტრის ბოლოს მე-9¹ კლასში საშუალო მაჩვენებელი დაბალი?
2. კონკრეტულად რომელი ინდიკატორები აღმოჩნდა დაუძლეველი.
3. რა იყო ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები ?
4. როგორ უნდა მოხდეს დაუძლეველი ინდიკატორების დაძლევა და შესაბამისად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება აღნიშნულ კლასში ?

სამიზნე ჯგუფი: მე-9¹ კლასის მოსწავლეები.(სულ 11 მოსწავლე)

კვლევის მეთოდები-მონაცემთა ანალიზი.

პროცესის აღწერა

პირველ ეტაპზე განხორციელდა ინდივიდუალური გამოკითხვის მეთოდით პირველადი მონაცემების შეგროვება. კერძოდ:

- მე-9 კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ 2017-2018 სასწავლო წლის 1 სემესტრში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მისაღწევი შედეგები (ინდიკატორების სახით)
- მოსწავლეებმა გააკეთეს თვითშეფასება (თითოეულ ინდიკატორზე გააკეთეს კომენტარი,რამდენად დაძლევადი იყო ის მათთვის)
- მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები განვიხილე და გავაანალიზე სათითაოდ.
- თვითშეფასების თვალსაჩინო ანალიზისათვის თითოეული მოსწავლის შეფასება გამოვყავი იმ ინდიკატორების ჩარჩოში,რომელიც ძნელად დაძლევადი ან დაუძლეველი აღმოჩნდა მოსწავლისათვის. (სტატისტიკა)
- კლასში გამოიკვეთა ორი ჯგუფი ,ერთ ნაწილს არ ქონდა დაძლეული **ბიოლ.IX.6.** შედეგის პირველი ინდიკატორი(ადგენს მიტოზისა და მეიოზის მარტივ სქემებს, ადარებს შვილეულ უჯრედებში ქრომოსომების განაწილების კანონზომიერებებს და განმარტავს მათ მნიშვნელობას;)

- მეორე ჯგუფს კი **ბიოლ.IX.6.** შედეგის მეხუთე ინდიკატორი(ასახელებს და აღწერს ცვალებადობის ფენოტიპურ და გენოტიპურ ფორმებს, მსჯელობს მათ შორის განსხვავებაზე;)
- საერთო საჭიროებიდან გამომდინარე კვლევაში მონაწილე მოსწავლეები გაყვავი 2 ფოკუსს ჯგუფად. გამომწვევი მიზეზების დასადგენად განხორციელდა დისკუსია შემდეგი გეგმის მიხედვით.

შეხვედრა პირველ ფოკუსს ჯგუფთან:

- ჩემს მიერ მოხდა წარმოდგენილი საკითხების ჯგუფური განხილვა. პროცესში ვცდილობდი ხელი შემეწყობ საკვლევ საკითხებზე ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური მოსაზრების გამოხატვას, ჯგუფის წევრების რეაგირებას ერთმანეთის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე და ჯგუფური განხილვის მეთოდით გამოთქმული მოსაზრებების დახვეწას. მოცემული მეთოდი ოპტიმალურია ახალი იდეების გენერირების და საკვლევ საკითხებზე სიღრმისეული შეფასების მისაღებად.

პირველ რიგში მოვისმინე თითოეული მათგანისგან რა იყო მათი აზრით ამ პრობლემის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა,ამ ფოკუსს ჯგუფის მოსწავლეები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს როდესაც გავდიოდით ამ საკითხებს,რის გამოც გაუჭირდათ დამოუკიდებლად ამ საკითხების დაძლევა. შემდეგ დავინტერესდი,თუ რა დონეზე ქონდათ გაგებული ეს მასალა,რათა ეს ინფორმაცია დამხმარებოდა აღწნული პრობლემის დაძლევის გზების ძიებაში. მოსწავლეებს დავუსვი შემდეგი კითხვები. რა არის მიტოზის ბიოლოგიური მნიშვნელობა. მოსწავლეებს არ ქონდათ სრულყოფილი პასუხი,მხოლოდ ერთმა მოსწავლემ აღნიშნა,რომ მიტოზი საჭიროა უჯრედის უსქესო გამრავლებისთვის.შემდეგი კითხვა შეეხებოდა მიტოზის ფაზებს,მოსწავლეებმა შეძლეს ჩამოეთვალათ ფაზები,თუმცა თითოეულის დახასიათება ვერ შეძლეს. ასევე პრობლემა აღმოჩნდა მიტოზისა და მეიოზის სქემების ერთმანეთთან შედარება. ვერ დაასახელეს ძირეული განმასხვავებელი ნიშნები ამ ორ პროცესს შორის. ამგვარად:

- 1-ჯგუფში მოსწავლეები ვერ ახასიათებენ მიტოზის და მეიოზის ფაზებს, ვერ მსჯელობენ მათ შორის მსხავსება განსხვავებაზე ,ვერ ასახელებენ

თითოეულის ბიოლოგიურ მნიშვნელობას. მიზეზი აღმოჩნდა კონკრეტული თემის გავლის დროს გაცდენები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

შეხვედრა მეორე ფოკუს ჯგუფთან:

მეორე ჯგუფთან მუშაობაც წარიმართა ჩემს მიერ წარმოდგენილი საკითხების ჯგუფური განხილვით.


პირველ რიგში ამ ჯგუფშიც მოვისმინე თითოეული მათგანისგან რა იყო მათი აზრით ამ პრობლემის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, ამ ფოკუს ჯგუფის მოსწავლეები აღნიშნული თემის გავლის პროცესში დავალებებს სახლში ასრულებდნენ დაბალი ხარისხით, რაც აისახა მათ აკადემიურ შედეგზე. შემდეგ დავინტერესდი, თუ რა დონეზე ქონდათ ათვისებული ეს მასალა, რათა ეს ინფორმაცია დამხმარებოდა აღნიშნული პრობლემის დაძლევის გზების ძიებაში. მოსწავლეებს დავუსვი შემდეგი კითხვები. რა არის ცვალებადობა. არასრულად, თუმცა ძირითადი არსი ცვალებადობისა ესმით მოსწავლეებს. შემდეგ ვიკითხე ცვალებადობის ფორმები. ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ორმა მოსწავლემ ჩამოთვალა ფორმები, თუმცა მემკვიდრული ცვალებადობის ფორმის ჩაშლა ვერ მოახერხა ვერცერთმა. შემდეგ დავასახელე მაგალითები ცვალებადობის სხვადასხვა ფორმის და ვთხოვე მოსწავლეებს გამოერკვიათ თითოეულის ფორმა, რაც არაზუსტად შეასრულა თითქმის ყველამ.

ამგვარად:


- მე-2 ჯგუფში აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები ვერ არჩევენ ცვალებადობის ფორმებს შორის განსხვავებას, არ იციან თითოეული ტიპის არსი, ვერ მსჯელობენ ცვალებადობის თითოეულ ფორმაზე რაც გამოწვეულია მასალის ზედაპირული ცოდნით.

შედეგების სტატისტიკა

პირველი ფოკუს ჯგუფის დიაგრამა (27 % -მა ვერ დაძლია,73% -მა დაძლია)



მეორე ფოკუს ჯგუფის დიაგრამა(55 % -მა ვერ დაძლია,45% -მა დაძლია)



გამოკვეთილი პრობლემა:

მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს არასრულად აქვს დაძლეული ე.ს.გ.- მიხედვით შედეგების მისაღწევი რამდენიმე ინდიკატორი.

- ჩვენს მიერ შედგენილი 2017-2018 წლის თემატური გეგმები არ ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს .

გამოსავალი: /ინტერვენციები

უნდა შეიცვალოს მე-9 კლასის თემატური გეგმა ბიოლოგიაში.(მე-2 სემესტრის ნაწილი)

- შედგეს თემატურ -კალენდარული გეგმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები. კერძოდ:
- პირველ ფოკუს ჯგუფთან,რომელთა პრობლემის მიზეზიც იყო გაცდენილი გაკვეთილები,მოხდეს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება ,კერძოდ მიტოზისა და მეიოზის მთავარი მახასიათებლებისა და მათ შორის მსგავსება განსხვავების უკეთ გააზრების მიზნით ვანახებ ვიდეორგოლებს (<https://videa.hu/videok/film-animacio/mitozis-animacio>

<https://videa.hu/videok/film-animacio/meiozis-animacio-meiosis-sejt-gvtWEvBdEmnq5sfj>)

ამის შემდეგ საგაკვეთილო პროცესში შევიტან ხელახლა აღნიშნულ მასალას და მოვახდენ თემის შეჯამებას წერილობით ,რათა დავინახო დაიძლია თუ არა პრობლემა.


- მეორე ფოკუს ჯგუფის პრობლემის აღმოსაფხვრელად,(რომელშიც კლასის უმეტესი ნაწილია),მე-2 სემესტრს დავიწყებ აღნიშნული თემატიკით. კერძოდ : ჯერ ჩავატარებ ლექციის ტიპის გაკვეთილს,რათა უკეთ გაერკვნენ პრობლემის არსში,შემდეგ ვაჩვენებ სხვადასხვა სახეობებში მათ მაგალითებს,გავარჩევინებ ჩემს მიერ შექმნილ ქვიზს აღნიშნულ თემაზე,სადაც დატალურადაა განხილული მაგალითებით თითოეული ფორმა ცვალებადობისა,რის შემდეგაც

ვამუშავებ მოსწავლეებს ჯგუფებში იმ მოსწავლეებთან ერთად,რომელთაც პირველ სემესტრში ქონდათ ეს მასალა კარგად გაგებული.


ინტერვენციების შედეგების შეფასება.

ინტერვენციების შედეგების შეფასება მოხდა კვლავ ინდივიდუალური გამოკითხვის მეთოდით კითხვარების დახმარებით.

- ინტერვენციების შედეგების შეფასების მიზნით 2 სემესტრის ბოლოს მე-9 კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ 2017-2018 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მისაღწევი შედეგები (ინდიკატორების სახით),სადაც გათვალისწინებული იქნა პირველი გამოკითხვის შედეგებიც.
- მოსწავლეებმა გააკეთეს თვითშეფასება (თითოეულ ინდიკატორზე გააკეთეს კომენტარი,რამდენად დამლევადი იყო ის მათთვის)
- მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები განვიხილეთ და გავაანალიზეთ სათითაოდ.
- აღმოჩნდა,რომ პირველ ფოკუს ჯგუფს,რომელიც შეადგენდა მთელი კლასის 27 %-ს, მეორე გამოკითხვის შედეგად ის ინდიკატორები დამლევადი ქონდათ. (100%)



- მეორე ფოკუს ჯგუფს,რომელიც შეადგენდა მთელი კლასის 55 %-ს, მეორე გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა,რომ პრობლემური ინდიკატორები დამლევადი ქონდათ 83%-ს.



- თუმცა მეორე გამოკითხვამ აჩვენა, რომ რამდენიმე ინდიკატორი, რომელიც უნდა გაევლოთ მე-2 სემესტრში, მოსწავლეებმა არ ჩათვალეს დაძლეულად, რაც შემდეგი წლის კვლევის საგანს წარმოადგენს.

რეკომენდაციები:

მსგავსი სახით მოსწავლეთა თვითშეფასებას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი.

მასწავლებელი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს შედეგს და ქონდეს ადეკვატური გამოხმაურებები.

დასკვნა

ანგარიშის მოცემულ ნაწილში წარმოგიდგინთ კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვას და ჩატარებული სამუშაოს შეჯამებას.

ამგვარად, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას ქართულ-ამერიკულ სკოლაში.

ჩატარებულმა პირველადმა გამოკითხვამ გამოავლინა პრობლემები კონკრეტულ საკითხებში კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებაში. კერძოდ **ბიოლ.IX.6**. შედეგის პირველი ინდიკატორი დაუძლეველი აღმოჩნდა მთელი კლასის 27 %-ში, ხოლო კერძოდ **ბიოლ.IX.6**. შედეგის მეხუთე ინდიკატორი დაუძლეველი აღმოჩნდა მთელი კლასის 55 %-ში. ფოკუს ჯგუფებში ვიმსჯელებთ გამომწვევ მიზეზებზე და დავადგინებთ რა დონეზე იყო აუთვისებელი კონკრეტული საკითხები თითოეულ

მოსწავლესთან,რის შემდეგაც ვიმსჯელებთ გამოსწორების გზებზე და ორივე ჯგუფში დაისახა სხვადასხვა გზა გადაჭრის. წლის ბილოს მოხდა მეორადი გამოკითხვა მთელი კლასის იგივე მეთოდით და შედარება პირველად მონაცემებთან,რომელმაც აჩვენა,რომ დასახულმა გზებმა კარგად იმუშავა მოსწავლეებთან და პირველ ჯგუფთან სრულად იქნა აღმოფხვრილი პრობლემა(100%), ხოლო მეორე ჯგუფთან 83%-ში იქნა დაძლეული პრობლემა,თუმცა მეორე გამოკითხვამ აჩვენა ,რომ რამდენიმე ინდიკატორი,რომელიც უნდა გაევიწყლოთ მე-2 სემესტრში,მოსწავლეებმა არ ჩათვალეს დაძლეულად,რაც შემდეგი წლის კვლევის საგანს წარმოადგენს.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე

კოლეგების უკუკავშირს ვიღებდი როგორც კვლევის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ როგორც ჩემი, ისე კოლეგების ინიციატივით. კვლევის მიმდინარეობისას შუალედურ შედეგებს ვუზიარებდი კოლეგებს სკოლის შიგნით.

პრობლემა აქტუალური იყო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ საკვლევი საკითხი ინტერესის თემას წარმოადგენდა სკოლის სხვა მასწავლებლებისთვის (განსაკუთრებით მე-9² კლასში შემსვლელი მასწავლებლებისთვის) კვლევის პროცესში, ჩვენი კოლეგები თავადაც იჩენდნენ ინიციატივას, მიეღოთ ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის შესახებ. შესაბამისად, მოვაწყვე შეხვედრა მასწავლებლებთან ორ ეტაპზე: ეს იყო ინტერვენციების დაგეგმვის დროს-მას შემდეგ რაც დავასრულე მონაცემთა შეგროვების ეტაპი კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, კოლეგებს შევხვდი რათა მომესმინა მათი მოსაზრებები კვლევის რა ინტერვენციები შეიძლებოდა განხორციელებულიყო. მასწავლებლებს წარუდგინე კვლევის გაანალიზებული შედეგები და ვთხოვე ერთად შეგვემუშავებინა განსახორციელებელი ინტერვენციები. საინტერესო იყო მასწავლებლების მოსაზრებების მოსმენა. ეს პროცესი წარვმართე „გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად: ჯერ მასწავლებლების მოსაზრებები მოვისმინე და ჩამოვწერე, გავაცანი ჩემი მოსაზრებები/ხედვა, რის შემდეგაც დავაჯგუფეთ მიმართულებების მიხედვით 1.როგორ დაგვედგინა არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები 2. რა უნდა გაგვეკეთებინა რომ გადაგვეწყვიტა არსებული პრობლემები ორივე ფოკუს ჯგუფში; საინტერესო ინტერვენცია დაიგეგმა მასწავლებელთა ჩართულობით-მათ გამოთქვეს მოსაზრებები, რომ კარგი იქნებოდა თითოეულ ფოკუს ჯგუფში ინტერვიუს გამოყენებით დაგვედგინა რა იყო აუთვისებელი ინდიკატორების გამომწვევი მიზეზი. ერთ-ერთმა მასწავლებელმა

საკუთარი გამოცდილებაც გაგვიზიარა თუ როგორ აკეთებდა ამას თავად ერთ-ერთ კლასში და რა დადებითი შედეგი გამოიღო აღნიშნულმა აქტივობამ. მივიღე ეს რეკომენდაცია და დავგეგმე შესაბამისი ინტერვენცია. კოლეგებთან თანამშრომლობის გზით შემუშავებულმა ინტერვენციებმა გაამდიდრა ჩემს მიერ შემუშავებული ინტერვენციები და საშუალება მომცა კვლევის ფარგლებში უკეთეს შედეგებზე გავსულიყავი.

მეორე შეხვედრა, ასევე კოლეგების ინიციატივით, ჩავატარე ინტერვენციების დასრულების შემდეგ, რათა ჩვენ მიერ გაცემული რეკომენდაციები დაყრდნობოდა კოლეგათა უკუკავშირის ანალიზს. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ კვლევის შედეგების მდგრადობისთვის კარგი იქნებოდა მასწავლებელთა თანამშრომლობას (მე-9 კლასის მასწავლებლებს შორის) რეგულარული სამუშაო შეხვედრების სახე მისცემოდა .

ვფიქრობთ, რომ სკოლებისთვის პრაქტიკის კვლევა პრობლემის შესწავლისა და არსებული არასასურველი ვითარების გაუმჯობესების ის საშუალებაა, რომელიც მასწავლებლებისთვის იწვევს ინოვაციას და ისმის ბევრი შეკითხვა. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ჩვენი კოლეგებისთვის ღირებულია თითოეული პრაქტიკული მაგალითი უკვე ჩატარებული კვლევებისა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პრაქტიკული კვლევის შედეგები საკუთარი ინიციატივით გავუზიარე ყველა კათედრის წარმომადგენლებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეგების დიდი ნაწილის პოზიტიური დამოკიდებულება გამოიწვია ჩემმა ინიციატივამ გამეცნო კვლევის შედეგები დაინტერესებული მხარეებისთვის. ამასთანავე, მათი უკუკავშირი იყო კონსტრუქციული და საქმიანი. კოლეგებისგან ასევე წამოვიდა თხოვნა, მათთვის დეტალურად გამეცნო თუ როგორ გამოვიყენე კვლევის მეთოდები, რა ინსტრუმენტები შევქმენი და როგორ, რა პრობლემები გვქონდა და როგორ გადავჭერთ ისინი, რაც სიამოვნებით მივიღე და ვისაუბრეთ ამ თემაზე.

ბიბლიოგრაფია

1. <http://mtm1984.wixsite.com/sophie/-2-3->
- სწავლების თანამედროვე მეთოდები
2. <http://tamunabaqradze.blogspot.com/2017/06/i.html> --როგორ
წარვმართოთ პედაგოგიური კვლევა. ნაწილი I.
3. <http://mastsavlebeli.ge/?p=10746>--პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა: თემას
გამოცდილება გვკარნახობს
4. <http://mastsavlebeli.ge/?p=281> როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები
5. <https://mishagiorgadze.wordpress.com/>

დანართი 1

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X				
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X				
პირველადი მონაცემების შეგროვება	X				
პირველადი მონაცემების ანალიზი		X			
შეხვედრა ფოკუს ჯგუფებთან:		X			
მიღებული შედეგების ანალიზი		X			
ინტერვენცია		X	X	X	
ინტერვენციების შედეგების შეფასება.					X